პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ ქმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 ივლისი სამშაბათი 1973 წელი — ოთხშაბათი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 178 (15695)

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲐ

ᲛᲘᲕᲘᲗ ცხოვრება, ისტორიული პროცესის მთელი მიმდინარეობა დამაჯერებლად ადასტურებენ, რომ სწორი და ქმედითია ჩვენი პარტიის პოლიტიკური ხაზი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის გათვალისწინებით სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამა შეესაბამება კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს. მხოლოდ კომუნისტურ პარტიას შეუძლია ასე სრულად გათვალისწინოს და გამოხატოს ეს ინტერესები, საზოგადოებრივი განვითარების მომწიფებული მოთხოვნები.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ქვეყნის მატერიალური და სულიერი ძალების შემდგომი აღმავლობისათვის მისი კურსის საყოველთაოხალხური მხარდაჭერა ფართოდ ვლინდება მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის შესანიშნავი პატრიოტული საქმეებით, დაძაბული შრომითი ბრძოლის მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. პარტიის მოწოდებამ, რომ 1973 წელი, ხუთწლედის გადამწყვეტი წელი გადავაქციოთ დამკვრელური შრომის წლად, აღაფრთოვანა ხალხის მასები, გააძლიერა თვისი გეგმაზომიერი არნახული სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღა.

სსრ კავშირის შრომელთა დიდ ქმაყოფილებას იწვევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო პოლიტიკის ქმედითად შთამბეჭდავი წარმატებანი, რომელიც ევროპისნაყოფიერ გავლენას ახდენს მსოფლიოს ვითარებაზე. ყველა საბჭოთა ადამიანმა მხურვალედ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პოლონეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტების ნაყოფიერი შედეგები. თავისი შრომით, ამრავლებს რა საბჭოთა ქვეყნის ძლიერებას, ჩვენი ხალხი ხელს უწყობს მისი საერთაშორისო ავტორიტეტის განუხრელ ზრდას.

კომუნისტური მშენებლობის გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი განაპირობებს საბჭოთა საზოგადოების შინაგან შედეგებებს, პარტიის გარშემო, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ხალხის შეკავშირებას. ხულ უფრო მტკიცდება და ღრმავდება კომუნისტური ავანგარდის ურღვევი კავშირი ხალხთან.

ჩვენი პარტიის ძალა მუშათა კლასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან, ერთანაბაა. იგი გულდაჯერებით ასრულებს მშრომელთა კოლექტიური ბელადისა და მასწავლებლის ისტორიული მისიის, რადგან ხალხლხორცეულად არის დაკავშირებული მათთან, იცის მათი მისწრაფებანი და იბრძვის მათი ინტერესებისათვის. განუზომლად დიდია მისი გავლენა საბჭოთა საზოგადოების მთელ ცხოვრებაზე. ურყევია მისი ავტორიტეტი, რომელიც მოპოვებულია მრავალი თაობის რევოლუციური ბრძოლით და გიგანტური აღშენებითი საქმიანობით.

შეეხო რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელოვან ისტორიულ გზას რსდმპ II ყრილობის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ხაზიანო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „ჩვენი პარტია თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. მან შეძლო გაეკვალა იქამდე უცნობი მარშრუტები კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ. მან შეძლო მოეპოვებინა მუშათა კლასის, ყველა შრომელის უსაზღვრო ნდობა და შეექმნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, საერთო-სახალხო სახელმწიფო, გამოიყენა მსოფლიოს უდიდესი ქვეყანა კომუნისტური მშენებლობის მაგისტრალურ გზაზე“.

რსდმპ II ყრილობის სამოცდაათი წლისთავი, რომელსაც ამ დღეებში აღნიშნავს საბჭოთა ხალხი, კვლავ მოგვაგონებს კომუნისტური პარტიის დიად მოღვაწეებს. მის მიერ მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი უწინარეს ყოველისა მარქსიზმ-ლენინიზმის, ვ. ი. ლენინის უკვდავი ანდერძისადმი ურყევი ერთგულების, მისი იმ მითითებების მტკიცე და თანმიმდევრული განხორციელების შედეგია, რომ ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის ამოცანებს, როცა მას შეუძლია ნამდვილად გაუძღვეს მთელ მასას.

მუდამ მასებთან ერთად, მუდამ მასების სათავეში — ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შესანიშნავი თავისებურება. ასეთია მისი მრავალმხრივი საქმიანობის ფუძემდებლური ლენინური პრინციპი, მისი ურღვევი ტრადიცია. მუშათა კლასმა, ჩვენი ქვეყნის ყველა შრომელმა მტკიცედ დაუკავშირეს ცხოვრება პარტიას, მიანდეს მას თავი ხალხის ბედი. ხალხის ამ უდიდეს ნდობას მოწმობენ პარტიის სწრაფი ზრდა და მისი გადაქცევა კომუნისტთა მრავალმილიონიან არმიად. მას აქვს ახლა 380 ათასამდე პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც შეადგენენ თვითეული შრომითი კოლექტივის ბირთვსა და წამყვან ძალას. პარტიული ორგანიზაციების განშტოებული ქსელი შესაძლებლობას იძლევა სულ უფრო ფართო მასები მოვაქციოთ პარტიაფთ გავლენაში, ჩავაბა პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და იდეოლოგიურ მუშაობაში.

აუწყებდა რა მასებში პარტიის მუშაობის შინაარსს, ვ. ი. ლენინს უმთავრესად ის მიაჩნდა, რომ ჩვენებერგა მათთვის ნებისყოფა, კომუნიზმის აშენებისათვის მზადყოფნა და უნარი. ამისათვის საჭიროა მუდმივი, ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ შრომელთა კომუნისტური საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებას, მათი განათლებისა და პროფესიული დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას. ადამიანთა მაღალი შეგნებისა და მომზადების შრომისადმი მათი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია წარმოების წინსვლა, საბჭოთა საზოგადოების მთელი განვითარება.

ჩვენი პარტია სამართლიანად ამაყობს იმით, რომ მის მიერ წამოყენებული იდეები და გეგმები ეუფლებიან მილიონობით ადამიანის გულსა და გონებას, შთაგონებენ მათ შრომითს გმიროლებას. მთელი საბჭოთა ხალხის საარსებო ამოცანა გახდა მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულება. ხუთწლიანი გზის პირველი ნახევარი წარმატებით დამთავრდა, მაგრამ დარჩენილ წლებში უფრო მეტი უნდა გავაკეთოთო, ვიდრე გაკეთებულა, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ, რათა მივაღწიოთ სკკპ XXIV ყრილობის მიერ 1975 წლისათვის დასახულ მიჯნებს და უზრუნველვყოთ საჭირო წინამძღოლები შემდგომი წინსვლისათვის. მთავარი, რასაც ყურადღებას უთმობს პარტია, — ეს არის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება და თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

აღმშენებლობითი მუშაობის ოლოსალური მასშტაბი, წამოჭრილი პრობლემების სირთულე მოითხოვენ პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფას; მაშასადამე, მახეთან პარტიის კავშირის გაუხუცელ განმტკიცებასაც. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომ კიდევ უფრო გავაქტიუროთ საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირისა და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც კვლავინდებურად მის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენენ. ამ ორგანიზაციების საშუალებით პარტია განუურელად არის დაკავშირებული ყველა კლასის. სოციალური ჯგუფის, ეროვნების, თაობის შრომელთა მილიონებთან, აერთიანებს და წარმართავს მათს შემოქმედებითს ძალებს საერთო მიზნისაკენ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტკიცე ერთიანობა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური, სოციალური და სულიერი პროგრესის მძლავრი საფუძველია. ეყრდნობა რა მასებს, და სულ უფრო მეტადროდ რაზმავს მათ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეური დონით, ჩვენი დიადი პარტია განუხრელად მიუძღვის ქვეყანას ლენინური გზით კომუნიზმისაკენ.

PRAVDA

ᲛᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის სოფელ კოდას ა. ოძელაშვილის ხახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლები 1.800 ტონა უხეშ საკვებს, 250 ტონა სენაჟს, დიდი რაოდენობით თივას, ჩალას დაამზადებენ. კოლმეურნეებს საშუალებას მისცემს წარმატებით შეასრულონ ხუთწლედის დამკვრელური წელს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები.

სურათებზე: საკვების დამზადება სოფელ კოდას კოლმეურნეობაში, საკვებმომპოვებლთა სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე მექანიზატორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲚ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘᲡᲐᲛᲔ!

რკინიგზელთა ნოგათი

1973 წლის მეორე კვარტალის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებით ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

იუწყებიან რა ამის შესახებ, სსრ კავშირის გზათა მინისტრმა ბ. ბეშჩევმა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კოვალიოვმა ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს მიულოცეს დიდი წარმატება და გამოთქვეს რწმენა, რომ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს, კიდევ უფრო თვართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს და თვიანთი დამკვრელური მუშაობით ხუთწლედის შესავე, გადამწყვეტ წელს მტკიცედ საფუძველს ჩაუყრიან საბჭოთა რკინიგზელების წინაშე სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას. (საქინფორმი).

მეგობრული შეხვედრა

30 ივლისს ყირიმში დაიწყო ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონგოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა მეგობრული შეხვედრა. შეხვედრაზე იხილავენ მოძმე ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს. ასევე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს.

შეხვედრა განაგრძობს მუშაობას.

ᲧᲘᲠᲘᲛᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ Ე. ᲰᲝᲜᲔᲙᲔᲠᲘ ᲓᲐ ნ. ᲩᲐᲣᲨᲔᲡᲙᲣ

სიმფეროპოლი. 30 ივლისი. (საკლესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ყირიმში ჩამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი.

* * *

სიმფეროპოლი. 30 ივლისი. (საკლესი). ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ყირიმში დასასვენებლად ჩამოვიდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩაუშესკუ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮ. Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲒᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ X ᲙᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ

ამხანაგებო!

ვფიქრობ საერთო აზრს გამოვთქვამ თუ ვიტყვი, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობა, განაცხადა ამბ. შევარდნაძემ, მიმდინარეობს მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, კოლეგიალობის ვითარებასა და საკითხების თავისუფალი განხილვის ატმოსფეროში.

ასისიზარეოლია აღინიშნოს, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმები და რესპუბლიკის პარტიკომიტეტები ჩვენი კადრებისა და მშრომელი მასების პოლიტიკური აღზრდის კარგი სკოლა გახდა.

შესამჩნევად გაიზარდნენ ჩვენი ხელმძღვანელი კადრები, როგორც ამაში თვალნათლივ დაფრწმუნდით გუშინ. ამაღლდა ჩვენი კადრების არა მარტო თეორიული აზროვნების დონე და კულტურა, არამედ თუ ენერგია, ორატორული ხელოვნებაც. ეს, უდავოდ, გვაბარებს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმები მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება მშრომელი მასების ცხოვრებაში. ბევრი შრომითი კოლექტივი უპატაჟებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საგეგმო დავალებათა და ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შეფრუ ლების. ყველაზე ძვირფასი ის არის, რომ მშრომელთა პატიჟების, წვრილების, დეპეშების ნაკადი წარმოიშვა თვით მასების ინიციატივით, ასე ვთქვათ, სტიქიურად. ეს მოწმობს, რომ ფლიდიდეე მატულობს მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. ჩვენი სახელოვანი მშრომელებისათვის კვლავ ახლობელი ვაზეა ჩვენი პარტიული ღონისძიებანი. მათ შორის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მუშაობაც. ისინი პარტიის ფიქრებითა და გეგმებით სულდგმულობენ. და ეს საქართველოს კომპარტიის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ფსიქიოლოგიური მონაბეერია.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გვიჩვენეს ჭეშმარიტად პარტიული მიდგომა მოვლენებისა და შრომლებისადმი. ჩვენ ძალიადად ვეთანხმებით მათ.

აქ გამოვიდნენ რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენლები. მბედველობა მაქვს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, თბილისის დამტვრევის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატის ამხ. ნ. ი. როდომანიჩკოს სიტყვა. ეს საინტერესო და შინაარსიანი სიტყვა, წარმოთქმული იყო მუშათა კლასის პოზიციიდან, ითვალისწინებდა მის ისტორიულ მიზნებსა და ამოცანებს, აშუქებდა საქმის მდგომარეობას არა მარტო საავიაციო ქარხნის შრომითის კოლექტივსა და პარტორგანიზაციაში, არამედ, თუ გნებავთ, საქართველოს კომპარტიაში მთლიანად. ეს იყო ცენტრალური კომიტეტის წევრი მუშის, პარტიული მოღვაწე მუშის სიტყვა. აუდილევებლად ვერ მოისმენდით ამბ. როდომანჩენკოს სიტყვებს: „ჩვენში, მუშებში, კვლავ აღდგა, ფიაზ, სწორედ რომ აღდგა რესპუბლიკის ბატონ-პატრონის (ამ სიტყვის კარგი გაგებით) გრძნობა, ყოველივე იმისათვის, ბასუხისმგებლობის გრძნობა, რაც ჩვენს გვერდით და ირგვლივ ხდება“.

ეს ის პოლიტიკური და სოციალური გრძნობაა, ძვირფასო ამხანაგებო, ურომლისოდაც ჩვენი საზოგადოების ავანგარდი — სახელოვანი მუშათა კლასი ვერ შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას. ან რატომ არის ესოდენ ძვირფასი, რომ რესპუბლიკის მუშათა კლასი, როგორც მუშა ორატორმა განაცხადა, კვლავ დარწმუნდა, რომ სწორედ ის არის რესპუბლიკის ბატონ-პატრონი.

დამიტოვეს სახელობის საავიაციო ქარხანა — ეს არის ქარხანა-აკადემია, რომლის საამქროებში შეხდება და კონსტრუირდება არა მარტო თვითმფრინავები, არამედ მუშათა ხასიათიც, ყოველ მუშაში ყალიბდება კომუნისტური წრთობის მუშათა საუკეთესო თვისებები.

აქ შრომობენ მუშები — თანიანთი საქმის აკადემიკოსები. ერთ-ერთი მათგანია ამხ. როდომანჩენკო.

ამ ჭირნახლს ათასობით თვისი პრობლემა აქვს, მაგრამ შრომითი კოლექტივი ცხოვრობს არა მარტო თავისი საზრუნავით, არამედ მეზობელი და მონათესავე ხიფარმოების საზრუნავითაც, ეხმარება ჩამორჩენილ საწარმოებს, მოწინავეთა დონემდე აწინაურებს მათ.

ეი ახალი კომუნისტური ურთიერთობის თვალსაჩინო ნიშნები!

სასიზარეოლია, როცა მუშათა კლასი ამბობს, რომ საქართველოს კომპარტიის მუშაობის სტილისა და მეთოდების შეცვლამ პარტიის ავტორიტეტს ზრდა გამოიწვია.

ეს, ამხანაგო ცენტრალური კომიტეტის წევრებო, ამხანაგო მუშაობის ამ შეფასების ღირსნი უნდა ვიყოთ.

მუშების მხრივ ასეთი შეფასება რესპუბლიკის კომუნისტური ორგანიზაციის საქმიანობის უმაღლესი შეფასებაა.

მაგრამ, ღირსეულად რომ გამამართლოთ ეს შეფასება, რესპუბლიკის მუშათა კლასმაც, მისმა კომპარტიამაც ჯერ კიდევ შეგრი უნდა იმუშაონ, როგორც იტყვიან. ხელებდაკაბიწუმლა უნდა იშრომონ.

ყველა პრობლემა, რომლებიც აქ მუშათა კლასის წარმომადგენლებმა აღძრეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში უნდა დადგეს.

აქ გამოვიდნენ **წარმოების მეთაურები** — კირის ბამბეულის კომბინატის დირექტორი ამხ. გ. ფ. შარიქაძე და სხვა ამხანაგები.

მათს გამოსვლებში აღძრული იყო ჩვენი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების აქტუალური საკითხები, წარმოების მართვის გაუმჯობესების პრობლემები.

აღძრულ საკითხებს გავაანალიზებთ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყოველ ღონეს იხმარს, რათა ისინი ოპტიმალურად გადაწყდეს.

ენერგეტიკის მინისტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ამხ. მ. ა. ცისკარიშვილმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს წინაშე დასვა მთელი რიგი გადაუწყვეტელი საკითხები.

ამხ. ცისკარიშვილის გამოსვლიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ რესპუბლიკის ახალშენებებს, იქნება ეს ენერგეტიკა, ფიზიოლიქტროსადგური თუ ქიმია მიანიული. მაგალითად, ბეერმა იქნებ არც კი იცოდეს ეს, ლეტიურად მეორე რუსთაველი შენდება, მაგრამ, ენერგეტიკა ჰიდროელექტროსადგურის, მაგნიტოლისა და რესპუბლიკის ბევრი სხვა ახალშენების მომარაგის და ელექტროენერგეტიკა-საყოფაცხოვრებო მომსახურება ვერ ფიქს ჯეროვან სიმაღლეზე.

ხუთწლედის დირექტივებში გათვალისწინებული ამ მშენებლობებს მომსახურება უნდა გავწიოს და მომარაგდეს პარტიისა და მთავრობის დირექტივების მოთხოვნების დონეზე.

პლენუმზე გაისმა ჩვენი სახელოვანი **კოლმეურნე ელენეს** — ხალხის მარჩენალის ხმა.

მე მხედველობაში მაქვს სოფელ ზემო მარხაანის კოლმეურნე ელენეთა პარტიული ხელმძღვანელის ამხ. ე. ბ. ნატროშვილის გამოსვლა.

მის სიტყვაში იგრძნობოდა ნაფუძვლიანი, ანალიზური მიდგომა საკოლმეურნეო სოფლის საჭირბოროტო პრობლემებისადმი, მასში, როგორც მზის სხივი წვეთ წყალში, ისახა ის ჯარდაქმნები, რომლებიც ახლა სოფლად ხდება.

ჩვენი ელენეების ხაზრუნავი პარტიის საზრუნავი, ხალხის საზრუნავია.

ჩვენ აღვნიშნავთ კოლმეურნე ელენეობას, რომ მის ყველა სატკივარს ელენესთან ახლო მეგიტანთ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი არ დაიშურებს ძალ-ღონეს, რათა აქ აღძრული საკითხები ყველაზე ხერხიანად და ჯანსაღად გადაწყდეს.

აქ გამოვიდნენ **ქართველი ინტელიგენციის** წარმომადგენლები.

საუბრებთ ვეთანხმებიან აკადემიკოს ე. ხარაძის გამოსვლას. მეცნიერების ბევრ აქტუალურ პრობლემასთან ერთად მან საკუთრი სწორად დასვა მეცნიერებათა აკადემიის ობიექტების მშენებლობის დაჩქარების საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ფიქალურად გეიჩქარეკა ამ საკითხი და ყველ ღონეს იხმარს, რათა მეცნიერების მშენებრივ ობიექტებს ფართო გზა მისცეს.

საუბრებთ სწორად აღნიშნა პატრიოტმეულმა აკადემიკოსმა, რომ მეცნიერებათა აკადემიის ობიექტების მშენებლობის შეფერხება გარკვეული თვალსაზრისით რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შეფერხების ნიშნავს.

დიდი მეცნიერების შექმნა საბჭოთა აკადემიასთან, პარტიის ბრძანებაა ერთ-ერთი გამოვლინება. ჩვენი მეცნიერება ვალდებულია მისი კვალიფიკაციებ ამაღლებისათვის. ეს არ უნდა დავიიწყოთ.

რესპუბლიკის კომუნისტური მშენებლობის ყველაზე საჭირბოროტო საკითხებზე ეკონომიკის მართვაში საბჭოების როლის გაძლიერების შესახებ ამ ტრიბუნიდან ილაპარაკეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილმა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შ. მ. თათარაშვილმა, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ფ. ს. სანაკოევმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ლ. ი. სალუქვაძემ, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილმა.

მათ მიერ აღძრულ ყველა გადაუწყვეტელ პრობლემას განიხილავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მიიღებს საჭირო ღონისძიებებს.

პროფკავშირთა საბჭოსაგან აქ გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს შტატგარეშე მდივანი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხნის ხარატი ამხ. ზ. გ. სარალიძე.

ვანსაკუთრებით მინდა შევეხო მის გამოსვლას, იგი ლაპარაკობდა როგორც მუშა, რომელიც თავისი საწარმოს, ქალაქის, რესპუბლიკის ბატონ-პატრონად გრძნობს თავს. მან ილაპარაკა იმაზე, რომ სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებით თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანას შეუძლია ყოველწლიურად დამატებით გამოუშვას 20 ჩარხი. ეი რა მატერიალური გამოხატულება შეიძლება მიეცეს დაზოგილ სამუშაო დროს.

თვითონ ამხ. სარალიძემ გადაწყვიტა უჩვენოს პირადი მაგალითი. მან ვალდებულება აიღო ყოველდღიური საგეგმო დავალებანი შეასრულოს ერთი საათით ადრე სამუშაო დროის დამთავრებამდე, დაზოგილ საათში კი შექმნას ზეგეგმითი პროდუქცია.

ეი ასეთი მუშები შეადგენენ რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის ბირთვს, ეი როგორი პროფკავშირული მუშაკები გვეჭირდება ჩვენ.

პლენუმზე მტკიცედ გაისმა ჩვენი **ახალგაზრდობის** ხმა. აქ გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. პ. ხ. ბარეიცი.

ახალგაზრდობის პრობლემები ყველაზე აქტუალური პრობლემებია. ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია.

საქართველოს კომუნისტური პარტია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას, მის პრობლემებს, მის საჭიროებებსა და საზრუნავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი ბიუროს მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა პლენუმის მეცნიერულ-პრაქტიკული რეკომენდაციების, მისი დადგენილების განხორციელებისათვის დასაბამს მისცემს რესპუბლიკაში ახალ, გარდამტეხ ეტაპს ეკონომიკის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის პროცესის სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომის მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

ჩემი გამოსვლის ძირითადი მიზანი ის არის, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება განსაკუთრებით მივაპყრო ჩვენი მშრომელების კეთილდღეობის გაუმჯობესების პრობლემებს.

ადამიანისათვის ზრუნვა — ეი ჩვენი პარტიის პირველი საზრუნავი.

ამ მხრივ ძვრები უკეთესისაკენ, რა თქმა უნდა, არის. და, უნდა ითქვას, რომ ეს ძვრები საკმაოდ შესამჩნევია.

ბეჯითად მოვითხოვთ რა თვითეულისაგან თავდადებულ შრომასა და რკინისებურ დისციპლინას, ასევე ბეჯითად უნდა ვიზრუნოთ ადამიანისათვის.

უწინარეს ყოვლისა საქმე ამას უნდა იხებოდეს, თუ რა ცვლილებები შეიქმნა მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის ოჯახების ბიუჯეტებში ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მეცნიერული ეკონომიური პოლიტიკის შემუშავების პრაქტიკის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებას?

მაგალითად, მუშათა და მოსამსახურეთა თვითეული ოჯახის საშუალო ერთობლივი შემოსავალი 1972 წელს 1971 წელთან შედარებით შეცირდა 20 მანეთით. სამაგიეროდ წელს მოსალოდნელია მუშათა და მოსამსახურეთა საოჯახო ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა 1971 წელთან შედარებით.

წლის პირველი ნახევრის წინასწარი მონაცემებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მიიღეს საჭირო ღონისძიებებს.

პროფკავშირთა ხელმძღვანელობამ ამ გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს შტატგარეშე მდივანი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხნის ხარატი ამხ. ზ. გ. სარალიძე.

ვანსაკუთრებით მინდა შევეხო მის გამოსვლას, იგი ლაპარაკობდა როგორც მუშა, რომელიც თავისი საწარმოს, ქალაქის, რესპუბლიკის ბატონ-პატრონად გრძნობს თავს. მან ილაპარაკა იმაზე, რომ სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებით თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანას შეუძლია ყოველწლიურად დამატებით გამოუშვას 20 ჩარხი. ეი რა მატერიალური გამოხატულება შეიძლება მიეცეს დაზოგილ სამუშაო დროს.

თვითონ ამხ. სარალიძემ გადაწყვიტა უჩვენოს პირადი მაგალითი. მან ვალდებულება აიღო ყოველდღიური საგეგმო დავალებანი შეასრულოს ერთი საათით ადრე სამუშაო დროის დამთავრებამდე, დაზოგილ საათში კი შექმნას ზეგეგმითი პროდუქცია.

ეი ასეთი მუშები შეადგენენ რესპუბლიკის სახელოვანი მუშათა კლასის ბირთვს, ეი როგორი პროფკავშირული მუშაკები გვჭირდება ჩვენ.

პლენუმზე მტკიცედ გაისმა ჩვენი **ახალგაზრდობის** ხმა. აქ გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. პ. ხ. ბარეიცი.

ახალგაზრდობის პრობლემები ყველაზე აქტუალური პრობლემებია. ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია.

საქართველოს კომუნისტური პარტია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას, მის პრობლემებს, მის საჭიროებებსა და საზრუნავს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მისი ბიუროს მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლა პლენუმის მეცნიერულ-პრაქტიკული რეკომენდაციების, მისი დადგენილების განხორციელებისათვის დასაბამს მისცემს რესპუბლიკაში ახალ, გარდამტეხ ეტაპს ეკონომიკის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის პროცესის სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომის მოძრაობის ხელმძღვანელობაში.

ჩემი გამოსვლის ძირითადი მიზანი ის არის, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყურადღება განსაკუთრებით მივაპყრო ჩვენი მშრომელების კეთილდღეობის გაუმჯობესების პრობლემებს.

ადამიანისათვის ზრუნვა — ეი ჩვენი პარტიის პირველი საზრუნავი.

ამ მხრივ ძვრები უკეთესისაკენ, რა თქმა უნდა, არის. და, უნდა ითქვას, რომ ეს ძვრები საკმაოდ შესამჩნევია.

ბეჯითად მოვითხოვთ რა თვითეულისაგან თავდადებულ შრომასა და რკინისებურ დისციპლინას, ასევე ბეჯითად უნდა ვიზრუნოთ ადამიანისათვის.

უწინარეს ყოვლისა საქმე ამას უნდა იხებოდეს, თუ რა ცვლილებები შეიქმნა მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის ოჯახების ბიუჯეტებში ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მეცნ

ამხ. ე. ა. შევარდნაძის საბოლოო სიტყვა

(დასასრული).

ზე ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა ნაკლები, ვიდრე 1971 წელს.

მდგომარეობის გამოსწორება მზოლოდ წელს დაიწყო.

მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების ოჯახების ერთ წევრზე ერთობლივი შემოსავლის შედარებისას ირკვევა, რომ მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახები ერთ წევრზე დაახლოებით 200-240 მანეთით მეტს იღებდნენ წელიწადში ვიდრე კოლმეურნეთა ოჯახები.

იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო-თვიური ხელფასი, და ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი, მაგალითად, 1970 წელთან შედარებით რეალური შემოსავალი გაიზარდა 72 მანეთით.

მიმდინარე წლის წინასწარ გამოთვლილ-შეფასებული მონაცემებით რეალური შემოსავალი კიდევ უფრო გაიზრდება.

არ შეიძლება არ გვახარებდეს, რომ მატულობს მანეთის მყიდველობითი უნარი.

ეკონომიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ მანეთი შემოსავალი 1973 წელს მეტია, ვიდრე მანეთი შემოსავალი ითქვიათ 1970 წელს, როგორც რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ბიუჯეტში, ისე აგრეთვე კოლმეურნეთა ოჯახების ბიუჯეტში.

ერთი სიტყვით, იზრდება მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების ოჯახების ბიუჯეტების შემოსავლის არა მარტო абсолютная ციფრები, არამედ იზრდება აგრეთვე მანეთის მყიდველობითი უნარი. ეს კი უკვე ორმაგი ზრდა.

ჩვენ შრომილების ოჯახების ბიუჯეტების შემოსავლის ზრდა, განსაკუთრებით ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლისა და ხელფასის ზრდა უწინარეს ყოვლისა, თავის გამოხატულებას პოულობს მოსახლეობის მიერ ვიტის ძირითადი პროდუქტების მოხმარების რაციონალურ გადიდებაში.

პურის პროდუქტებს რესპუბლიკის მუშები და მოსამსახურეები წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე ხმარობენ 175-180 კილოგრამს, კოლმეურნეები — 225-227 კილოგრამს.

მუშების, მოსამსახურეებისა და გლეხების ოჯახების ბიუჯეტში პურის პროდუქტების ხვედრითი წონის შემცირების დადებითი ტენდენცია ხდება ყველის ისეთი სხვა სრულფასოვანი პროდუქტების ხვედრითი წონის გადიდების ბაზაზე, როგორიც არის კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხორცი, ქონი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, თევზი და თევზის პროდუქტები, შაქარი, კარაქი და სხვ.

რესპუბლიკის დედაქალაქისა და ქალაქ რუსთავის მუშათა კლასმა, ყველა მცხოვრებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მარტო მეგობარეობისა და მერძოლეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით მიიღეს 5-ჯერ მეტი მწვანილი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, 2-ჯერ მეტი ხილი, 61 პროცენტით მეტი კვერცხი, 28,2 პროცენტით მეტი ხორცი, 13 პროცენტით მეტი რძე და სხვ.

1969 წელს რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე მოიხმარებოდა 31 კილოგრამი კარტოფილი; მიმდინარე წელს, წინასწარი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 38 კილოგრამამდე გაიზრდება.

თუ 1970 წელს ერთ სულ მოსახლეზე მოიხმარებოდა (წამატებების გათვალისწინებით) 51 კილოგრამი ბოსტნეული და ბაღჩეული, მიმდინარე წლის წინასწარი დანაგარიშებით ეს მაჩვენებელი 55 კილოგრამამდე გაიზრდება. პირდაპირ ვიტყვით, რომ, სამწუხაროდ, წამატებები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული წარსულში, საშოალებას არ გვაძლევენ აღიადგინოთ რესპუბლიკის ეკონომიკის ბევრ დარგში საქმის მდგომარეობის ნამდვილი სურათი.

მოსახლეობის ყველის გაუმჯობესება დიდი და ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაუწყვეტელი პრობლემაა. ეს კი რესპუბლიკის მეკრძალმელობა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრას უნდა მოვახმაროთ ჩვენი მეცადინეობა. ეს საქართველოს კომპარტიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

თქვენ იცით, რომ ფასების კონიუნქტურა რესპუბლიკის სასოლმეურნეო ბაზრებში, აშკარად არ იყო იმ აღამიანთა სასარგებლო, რომლებიც შრომითი შემოსავლით ცხოვრობენ.

სიძვირე საკოლმეურნეო ბაზრებში ბევრ ხელმძღვანელ შუმაკს აძლევდა განეხორციელებინა რაიმე ღონისძიებანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ ბევრი ამხანაგი, რომლებსაც არ ესმოდათ ფასწარმოქმნის მექანიზმის ბუნება, მთავარ ყურადღებას უთმიდნენ აღმინისტრაციულ ღონისძიებებს და არა ფასწარმოქმნის ეკონომიურ ბერკეტებს, რასაც როგორც მოსალოდნელი იყო, კარგი არაფერი მოჰყოლია.

ფასების საკოლმეურნეო ბაზრებში იზრდებოდა. სიძვირე არ აშინებდათ მხოლოდ იმათ, ვინც შრომითი შემოსავლით არ ცხოვრობდა.

რესპუბლიკაში, პირდაპირ უნდა ითქვას, ფაილაზი ისეთი ტენდენცია, როცა ჩნდებოდნენ ეკონომიურად პრივილეგიური ელემენტები და ჯგუფები, მათ ხელში უკანონოდ იყრიდა თავს უპატიოსნო, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული დიდი შემოსავალი.

ამგვარი ელემენტებისათვის, რომლებიც შეპყობილი არიან გამდიდრების სულისკვეთებით, გამსჭვალული არიან ეკონომისაკუთრული ტენდენციებით, რასაკვირველია, ფაქტო იყო სოციალისტური შეჯიბრების პრინციპები და შრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესები.

საწარმოებში, სადაც ამხილეს ორგანიზებული დანაშაულეთა, კომბინატორთა, მეკრძალმელთა, გამმძალველთა და ჩვენი საზოგადოების სხვა ანტიპოდთა ბანდები, როგორც წესი, უსიცოცხლოდ ფეხქვეშ თელავდნენ სოციალისტური შეჯიბრების პრინციპებს.

ბევრ თუალს შორისა და ჯიბის გასქელების სულისკვეთება სუფევდა.

ყველამ უნდა ისწავლოს წარსულის ამ მწარე გაკვეთილებზე.

რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ პატიოსანი შრომელი უფრო თავისუფლად სუნთქავდეს, ჩვენი საზოგადოების ანტიპოდთა ფეხქვეშ კი მიწა იწყოდეს.

პარტია ამბობს: ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის. ეს ნათქვამია შრომელ ადამიანებზე, საზოგადოების სრულფასოვან წევრებზე. არამშრომელი ელემენტებისათვის კი პარტიას აქვს სხვა ლოზუნგი, ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს! არავის არ მოუხსნია ეს ლოზუნგი დღის წესრიგიდან.

ხელმძღვანელ თანამდებობებზე ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებმაც, როგორც ამბობენ, არაფერი არ დავიწყეს და არაფერი არ ისწავლეს. ბევრი ახლაც, როცა რესპუბლიკაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს კერძომესაკუთრული ჩვენების, წამგლეჯობის, გამმძალველობისა და ჩვენი საზოგადოების სხვა ანტიპოდების წინააღმდეგ, ბედავს ქრთამის აღებას.

ამ დღეებში ქრთამის (1500 მანეთის) აღების დროს დაიჭიეს აკრეთვე ქედის რაიონის პროკურორი მამამთავრიშვილი.

აკრეთვე მექრთამეობისათვის დაიჭიეს საქინფორმის ყოფილ-პონდფენტი სამხრეთ ოსეთში ა. ა. ჟღენეგი.

ამგვარი ფაქტები ჯერ კიდევ ბევრია.

უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში მექრთამეობასთან ბრძოლა ჯერ არ გამხდარა ისეთი მწვავე ხასიათისა, რომ მთლიანად აღმოეფხვრათ მექრთამეობა ჩვენი ცხოვრებიდან.

როგორც ანალიზი ვვიჩვენებს, მექრთამეობას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქვს ადგილი ზოგიერთ სამინისტროში, უწყებაში, სახალხო მეურნეობის ობიექტებში, მართვის სხვადასხვა რგოლში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს პარტიის ყველა რაიკომს, საქალაქო კომიტეტს, სამინისტროსა და უწყებას, რომ არ დაინდობს მექრთამეებსა და გამომძალველებს, ამ პირწავარდნილ დანაშაულებს, ჩვენი საზოგადოების ანტიპოდებსა და მათს მფარველებს.

თვითეულმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა დაიკისრება ხალხისა და პარტიის წინაშე მისთვის მინდობილ მუშაობის უბანზე, კოლექტივში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, მექრთამეობის თვითეული ფაქტისათვის.

ამიტომ, რომ საბოლოოდ ამოვძირკვით უნამუსობა და ბორტება, რომელიც მემკვიდრეობად დაგვიტოვეს, რესპუბლიკაში უნდა იყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი, უნდა ვიმარჯვოს ბოლშევიკურმა სიმართლემ და სამართლიანობამ.

ეს, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებზე, პარტიის რაიონულ, საქალაქო, საოლქო კომიტეტებზე, პარტიის ცენტრალურ კომიტეტზე, აღმინისტრაციულ ორგანოებზე — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის ორგანოებზე.

აქ გამოსული ამხანაგები თათარაშვილი, სანაკოევი, პატიაშვილი და ზოგიერთი სხვა ორატორი ვვსვამდნ სამართლიანად მოითხოვდნენ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის სრულყოფას.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს იურიდიულ აპარატებს, უწინარეს ყოვლისა, ლაპარაკია რესპუბლიკის სამინისტროზე, პასიური პოზიცია უჭირავთ არა მარტო მიწათსარგებლობაში კონფლიქტური სიტუაციების ოირდიოელ მოგვარების საკითხებში, არამედ ჩვენი სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ბევრ სხვა აქტუალურ საკითხებშიც. ყველა ეოოდება მითითებებს, თავად კი ინიციატივას არ იჩენს.

გაუგებარია. ვის ველოდებთ, რას ველოდებით?

ისე არ შეიძლება! მათ თვითონ უნდა შეისწავლონ საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემები და შემოგვთავაზონ თავიანთი გადაწყვეტილებანი.

ჯერჯერობით რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის რიონ ვერ გვაკმაყოფილებს. მშრომელთა ასობით და ათასობით წერილსა და საჩივარში სადავოდ ხდიან სასამართლოს განაჩენებს. შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოებში წარმოებაში მყოფი სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს საჩივრები მოკლებული არ არის საფუძველს. მშრომელები უნდა გვენობოდნენ. სხვაგვარად, ეერასოდეს ვერ მივაღწევთ წარმატებას.

არც ერთი წუთით არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება საერთო-პარტიული, საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-საბალო საქმეა.

და ჩვენ, ამხანაგო კომუნისტებო, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საბჭოთა საქართველო გადავაქციოთ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის რესპუბლიკად. უამისოდ წარმოუდგენელია რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიური და სოციალური პროგრესი.

ჩვენ გვინდა ეკონომიური პოლიტიკა განვახორციელოთ ისეთნაირად, რომ საზოგადოების თითოეული წევრი დაინტერესებული იყოს **საზოგადოებრივი** წარმოების გადიდებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიქმნება ყველა პირობა მშრომელთა საერთაშორისო ძმობის და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამავე დროს, მშრომელთა ბევრ კანონიერ მოთხოვნას ჯერჯერობით ვერ ვაკმაყოფილებთ.

რეგორც იცით, ამხანაგებო, ჩვენში განსაკუთრებით ჩამორჩება **სახანო მშენებლობა.** მარტო თბილისში ათასობით ოჯახს არა აქვს ელემენტარული **სანიტარიული პირობები.**

სანიტარიული მშენებლობის პროგრამა რესპუბლიკაში ფაქტიურად ჩაშლილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ საკვაშირო მთავრობა გამოყოფდა საკმარის ასიგნებებს, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ უზრუნველყოფდა მათს ათვისებას. ამიტომ გასაგებია, რომ საქართველოს კომპარტია ახორციელებს სავანგებო ღონისძიებებს ამ პრობლემის კარდინალური გადაჭრისათვის. მიუხედავად ამისა, 1972 წელს ყველა მაჩვენებლის მიხედვით 1970 წლის დონისაც კი ჩამოვრჩებოდით, მაგალითად, თუ 1970 წელს ამ პირთა რიცხვი, რომლებმაც მიიღეს საცხოვრებელი ფართობი, 152 ათასს შეადგენდა, 1971 წელს კი 133 ათასს, 1972 წელს შეადგენდა 132 ათასს. თუ 1970 წელს აშენდა 29,2 ათასი ბინა, 1971 წელს — 25,7 ათასი, 1972 წელს ამშენდა 24,9 ათასი ბინა. როგორც ხედავთ, ბინების მშენებლობას, ისევე როგორც მშრომელთა რიცხვსაც, რომლებმაც მიიღეს ახალი ბინები, აქვს შემცირების ტენდენცია.

მარტო მიმდინარე წელს ჩვენ ვაპირებთ მივაღწიოთ და გადავაჭრათ წინა ხუთწლედის უკანასკნელი წლის დონეს.

სასიხარულოა, რომ ჩვენმა მშენებლებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს წლის პირველი ნახევარი.

მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ პირველი ნაბიჯებია, ყველამ კარგად იცით, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე საშინლად იოლეოდა საბინაო მშენებლობის გეგმები, უსიცხცხელოდ ფეხქვეშ ითელებოდა ბინების განაწილების სოციალისტური პრინციპები. ამ საკითხში გამიფუმფული იყო ქაოსი, მოსყიდვა, გამოძალვა, მექრთამეობა.

ამხანაგების თათარაშვილის, ხაბეიშვილის, სანაკოევისა და ზოგიერთი სხვა ორატორის გამოსვლებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს მშენებლობის მართვის სტრუქტურის სრულყოფის საკითხებმა.

სამშენებლო ორგანიზაციების ძალებისა და საშუალების კონცენტრაციის, ინტეგრაციის, ცენტრალიზაციის პრობლემები მომწიფებული პრობლემებია.

სოფლის მეურნეობის დარგში ასეთი საკითხები დასვეს აქ ამხ. პატიაშვილმა და ზოგიერთმა სხვა ამხანაგებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ოპტიმალურად გადაჭრას ეს პრობლემები, რომლებსაც უშიშლო კავშირი აქვთ, მმართველობითი აპარატის შემდგომ სრულყოფასთან.

